საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიას დახმარებით რუსთავში მოქალაქეებმა სხვადასხვა სამართლებრივი დავები წარმატებით

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

დაასრულეს

საიას რეგიონული ოფისები აქტიურად უწევენ მსურველებს სამართლებრივ დახმარებას. მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში **საიას რუსთავის ოფისის დახმარებით** არაერთმა პირმა შეძლო მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება.

- რუსთავში მცხოვრებ მოქალაქეს 2019 წლიდან შეწყვეტილი ჰქონდა ბუნებრივი აირის მიწოდება წლების წინ დაგროვილი 2 000 ლარამდე ოდენობის დავალიანების გამო. აღნიშნული პირის წინააღმდეგ ლიცენზიატმა კომპანიამ დაიწყო დავა და სასამართლომ მოქალაქის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო. გაწეული სამართლებრივი დახმარების შედეგად, გაუქმდა ამ პირის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლებული საქმის ფარგლებში მას სრულად ჩამოეწერა დავალიანება. შედეგად, აღნიშნულ პირს აღუდგა ბუნებრივი აირის მიწოდება.

- მოქალაქეს, რომელიც 21 წლის განმავლობაში მსახურობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უკანონოდ არ დაენიშნა წელთა ნამსახურობის გამო სახელმწიფო კომპენსაცია. სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი ეფუძნებოდა, იმ გარემოებას, რომ მოქალაქეს არ ჰქონდა შესაბამისი ვადის ნამსახურობა. საიას დახმარებით მოქალაქემ ჯერ საჩივარი შეიტანა სოციალური მომსახურების სააგენტოში, ხოლო შემდგომ სარჩელი - სასამართლოში. საბოლოოდ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და სააგენტოს დაავალა მოსარჩელისთვის კომპენსაციის დანიშვნა.

- მოქალაქეს 2013 წლიდან ჰქონდა ვალდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე, რომელსაც შექმნილი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ასრულებდა. გაწეული სამართლებრივი დახმარების შედეგად, სასამართლომ ხანდაზმულად მიიჩნია არსებული დავალიანება და შესაბამისად, პირი გათავისუფლდა ფულადი ვალდებულების შესრულებისგან.

- მოქალაქემ, რომელსაც საკრედიტო კომპანია ვალდებულების შეუსრულებლობას ედავებოდა, სასამართლოში დავა წარმატებით დაასრულა. გაწეული საქმეთლებრივი

დახმარების შედეგად სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია აღნიშნული მოქალაქის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა მის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელი.